№ 198

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 198

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

ექიმი
კ. ი. გმელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (—6.—8)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ჰ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.
საღამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.
ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს. სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 16 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება.

*** გუშინ, 15 სექტემბერს, დაბრუნდა კისლოვოდსკიდგან ტფილისის ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი და თვისის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

*** ტფილისის გუბერნატორმა განიხილა ოქმი იმ ტეხნიკოსებისა, რომელთაც სათავად-აზნაურო თეატრი გასინჯეს და ნება დართო ამ თეატრში წარმოდგენების გამართვისა იმ პირობით-კი, რომ თეატრის ადმინისტრაციამ თან და თან შეაკეთოს ის, რის შეკეთებაც ტეხნიკოსთა კომისიამ საჭიროდ სცნო.

*** ყვარელის სკოლის მასწავლებლად ნამყოფის დუმბაძის საქმე დანიშნულია განსახილველად სამოსამართლო პალატაში 31 ოქტომბერს. ამას წინად ადგილობრივი გაზეთები სწერდნენ, რომ დუმბაძის დასაცველად მოწვეულია ცნობილი ვექილი ბ-ნი პლევაკო. ეხლა გაზ- „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულიაო.

*** ამ ჟამად მუშტაიდში აშენებენ ახალ შენობას ბაღოსნობის გამოფენისათვის, რომელიც პირველ ოქტომბერს გაიმართება. უკვე ბევრმა განაცხადა გამოფენაში მონაწილეობის მიღების თანხმობა.

*** რადგანაც ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა წესდება ტფილისის საკომერციო სასწავლებლისა, ტფილისის ვაჭართა მამასახლისმა მიჰმართა გუბერნატორს და სთხოვა ნება მოეცით 27 სექტემბერს ვაჭართა კრება მოვახდინო, სასწავლებლის წესდების მე 21 § თანახმად, სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარის და ხუთის წევრის ამოსარჩევადაო.

*** დღემდის საქონლის დაკვლის გარდასახადს ჰკრებავდნენ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელენი იმ ადგილას, სადაც ყასბები ხორცსა ჰყიდნენ ხოლმე, დღეის შემდეგ-კი ამ გარდასახადს საყასბოზედ მოჰკრებავენ.

*** ორშაბათს, 12 სექტემბერს, პოლიციამ ავლაბარში, მდ. მტკვრის ნაპირას, იპოვნა ხურჯინი, რომელშიაც კაცის მოჭრილი თავი იდო. პოლიციამ ამ თავის ფოტოგრაფიული სურათი გადაიღო, ხოლო თვით თავი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნა.

*** წარსულ კვირას ხელოსანთა გამგეობაში ხელოსანთა წოდების მხრივ ობოლთა სასამართლოს წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ე. მაისურაძე და ტერ მკრტიჩიანცი, ხოლო ამათ კანდიდატებად მხეიძე და ყაზანჯიანცი.

*** სატყეო დეპარტამენტის დირექტორის ნიკიტინის მინდობილებით ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობა შეუდგა ახალის პროექტის შემუშავებას სატყეო უწყების შტატების გადაკეთების შესახებ. აზრადა აქვთ, სხვათა შორის, ტფილისის გუბერნია და ზაქათალის ოლქი ექვს ნაწილად დაჰყონ. ამ ნაწილების გამგეებად დანიშნული იქმნებიან ტყის რევიზორები.

*** ტფილისის თავშესაფარების გამგე კომისიის უკანასკნელმა კრებამ განიხილა თავმჯდომარის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენება იმის შესახებ, რომ თავშესაფარების გამგეობა დაევალოს კომისიის წევრებს მორიგებით. ჯერჯერობით პირველის თავშესაფარის გამგეობა დაეკისრა თავ. ნ. ე. არღუთინსკი დოლგორუკოვს და ა. ს. ბუდღანოვ ბაღდასაროვს, ხოლო მეორისა ნ. ა. ხუდადოვს და ა. ბ. ევანგულოვს. სექტემბერში პირველ თავშესაფარში მორიგი იქმნება ბუდღანოვ-ბაღდასაროვი, ხოლო მეორეში—ნ. ა. ხუდადოვი.

გარდა ამისა, რადგანაც თავშესაფარისათვის საკმაო ფული არ არის, კრებამ გადასწყვიტა — გაიმართოს ალექსანდრეს ბაღში სეირნობა ამ თავშესაფარების სასარგებლოდ. ამ საქმის გაძღოლა დაეკისრათ კომისიის წევრებს თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და ა. ს. ბუდღანოვ-ბაღდასაროვს.

შემდეგ კრებამ გადასწყვიტა ნება მიეცეს ორიოდე ღარიბ ოჯახობას დროებით იცხოვრონ თავშესაფარში, ვიდრე ბევრი ხალხი მიაწყდება. დასასრულ კომისიამ განიხილა 1899 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვა და დაადგინა სთხოვოს ქალაქის საბჭოს ამ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

*** საექსპერიმენტალო მედიცინის ინსტიტუტის პროფესორი ნენცკი კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ერთ-ერთს კრებაზედ წაიკითხავს მოხსენებას ჭირისაგან საქონლის აცრის შესახებ.

*** წელს პეტერბურგის სამხატვ-

## ფელეტონი

### უუსაძაგლესი დედაკაცი ლონდონისა

(დასასრული *)

— ცოტა ხანს მოითმინეთ აქ, ბატონო,—მიუგო ახალგაზდა კაცმა, როდესაც ტედდი კანტორაში შევიდა და სადარბაზო ბარათი გაუწოდა. მისტერ რეჯენტი რამდენისამე წუთის შემდეგ თავისუფალი იქმნება და შეგეძლებათ იმისი ნახვა.

ტედდი ჩამოჯდა, მაგრამ კარები მალე გააღეს და მეორე ოთახში მიიწვიეს, სადაც თავ-მოტვლეპილი, მხიარული კაცი დახვდა.

გამომცემელმა ჯერ ხელი ჩამოართვა და მერე უთხრა, რომ თქვენის რომანის შესახებ საუკეთესო აზრი წარმომიდგინა იმან, ვისაც იგი წასაკითხად გარდავეცი, და ამიტომ თუმცა თქვენი სახელი ცნობილი არ არის, მაგრამ მაინც ვიკისრებთ თქვენის თხზულების გამოცემასაო.

— თქვენს კალამს თავისებურობა ეტყობა,—განაგრძო გამომცემელმა, ზოგიერთი ადგილი მართლაც რომ კარგია... დიაღ, წამკითხველმა საუკეთესო აზრი გამოსთქვა.

ამასთან ხელი დაადო იმ რვეულს, რომელშიაც წამკითხველის აზრი ეწერა და ფურცვლა დაუწყო.

— როგორცა ვხედავ, ჩემის რომანის შესახებ ბევრი დაუწერია წამკითხველს, სთქვა ტედდიმ. განა თქვენი წამკითხველები ასე დაწვრილებით განიხილავენ ხოლმე ხელთნაწერებსა?

— არა, მიუგო შესანიშნავმა კაცმა,—ეს მხოლოდ თქვენის თხზულების გამოა დაწერილი და გარწმუნებთ, ამ რვეულმა ისეთი ცნობის მოყვარეობა აღმიძრა, რომ თვით განვიზრახე თქვენის რომანის წაკითხვა.

— გმადლობთ! ეგ დიდად სასახელოა ჩემთვის. მიუგო ტედდიმ,—მაგრამ პი... პი... პირობების შესახებ რას მიბრძანებთ?

— რაც შეეხება პირობას, ჩვენ ორასი მანეთი გადავიწყვიტეთ.

ტედდი სკამის ზურგს მიენდო, რომ აღელვება დაეფარა.

— არა, ეგ შეუძლებელია, სთქვა მან. ამ რომანს მთელს წელიწადსა ვწერდი.

— მთელი წელიწადი რომ არ გეწერათ, არც ღირსება ექმნებოდა. საჩქაროდ დაწერილს, ჩემო საყვარელო მეგობარო, ფასი არა აქვს.

— მართალია, უპასუხა ტედდიმ, —მაგრამ თუ კარგად დაწერილი რომანი ორას მანეთზედ მეტად არ გაიყიდება, ისა სჯობია კაცმა სულ არ დასწეროს.

— სახელი, ჩემო მეგობარო, სახელი!—გაჰიანურებით მიუგო გამომცემელმა: პირველი საქმე სახელია. როდესაც საზოგადოება თქვენის წიგნების კითხვას მიეჩვევა, ხელთ-ნაწერში ოცჯერ მეტს მოგართმევთ, თუნდა ახალი თხზულება ამ რომანზედ ცუდიც იყოს.

— თქვენა გსურთ გული გამიკეთოთ, მშრალად წარმოსთქვა ტედდიმ: გმადლობთ!.. ჟურნალისტი ვარ და ვხედავ, რომ თქვენ მართალს ბრძანებთ. მაინც ოთხას მანეთზედ ნაკლების აღებას ის მირჩევნია, რომ ეს ხელთნაწერი შინ წავიღო და უჯრაში დავალპო.

— ეს რომანი, განაგრძო რეჯენტმა: ორ წიგნად დაიბეჭდება, ან იქმნება თქვენ სხვა გვარადა გაქვთ განაწილებული?

— უკაცრავად, მე... მე ეგ რომანი სამად გავანაწილე. დარწმუნებული ხართ, რომ სამი წიგნი არ გამოვა?

— მგონი უნდა გამოვიდეს. მაინც ვნახავ... ვნახავ, ბ-ნო კენნინგემ.

— და თუ სამი წიგნი გამოვიდა, იმედი ვიქონიო, რომ ჩემ პირობას მიიღებთ?

— ვნახავ! ამხანაგსაც უნდა მოველაპარაკო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, სერ, მშვიდობით...

ამ სიტყვებთან ერთად მაგრად ჩამოართვა ხელი ტედდის. ახალგაზდა კაცი დაღონებული გამოვიდა ქუჩაში, ომნიბუსში ჩაჯდა და, სახლში მისვლისათანავე, სიტყვა სიტყვით უამბო ჯესსის ყოველივე ნალაპარაკევი.

მთელი ორი დღე ტედდი რეჯენტის წერილს მოელოდდა: ყმაწვილს კაცს ეგონა, რომ გამომცემელი მოსწერს, ას მანეთზედ მეტს ვერ მოგცემო. მაგრამ როდესაც ბარათი მოვიდა, რომელშიაც ეწერა ფირმა თანახმაა სამასი მანეთი მოგცეთ და მოგებიდგან 5%, როდესაც პირველი გამოცემა გაიყიდებაო, ტედდიმ მაინც უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

— რა გამოვაო! სთქვა მან: წიგნის დაბეჭვდას ვერავინ გაიგებს, სამასი მანეთი სულ არაფერია, ხოლო რაც შეეხება მოგებას...

ტედდის იმედი არა ჰქონდა, რომ პირველის გამოცემის ნახევარიც არის გაიყიდებოდა: რომანის მეორედ და მესამედ გამოცემა ხომ ფიქრში მოსასვლელიც არ იყო.

— სახელი! ნაღვლიანად გაიმეორა რეჯენტის სიტყვები; სახელი, ჩემო მეგობარო, საქმე სახელია!...

— მაშ თუ მაგრეა, გაიჩინე სახელი: მიუგო ჯესსიმ, იმდენი მოახერხე, რომ შენ შესახებ ილაპარაკონ, გაზეთებში სწერონ.

— ეჰ, გაჩუმდი ერთი, თუ ღმერთი გწამს!—უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ტედდიმ და ისე მაგრად დაუწყო ბოლთას ცემა, რომ ცოტა ხანს უკან ოთახში საშინელი კორიანტელი დააყენა.

ამისდა მიუხედავად რეჯენტის ფული ძლიან გამოადგათ ცოლ-ქმარს. ბაზარში წავიდნენ და ერთმანეთს საჩუქრები უყიდეს. მაგრამ ყველაზედ ძალიან იმის შეტყობა უნდოდათ, თუ საზოგადოება როგორ დაუხვდებოდა ახალს რომანს.

— რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებსაო, ამბობდა ტედდი,—დარწმუნებული ვარ, რომ კარგის თვალით შეჰხედავენ ჩემს რომანს; თუ ნიჭი დაინახეს, არ დაჰმალავენ. მაგრამ საზოგადოება, მე უფრო საზოგადოება მაწუხებს. როდესაც ჩემს რომანს დაინახავენ, იტყვიან: „ედუარდ კენნინგემ... ვინ არის ედუარდ კენნინგემ? რა კაცია? არა, ისევ სხვა წიგნი მომეცითო...“

ერთის კვირის შემდეგ ჯესსი გარ-

*) იხ. „ივერია“, № 195.

რო სასწავლებელში ქანდაკების ნაწილის სწავლა დაამთავრა ბ-ნმა ალექსი თარხნიშვილმა. ჩვენის ახალგაზრდა მოქანდაკის ნამუშავარს უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება. მისგან გაკეთებულნი ქანდაკებანი წმ. ნინოსი, შოთა რუსთაველისა და ილ. ჭავჭავაძისა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში უკვე აწყვია გასასყიდად. ალექსანდრე თარხნიშვილი ამ ორის თვის შემდეგ მიდის იტალიაში, სადაც დარჩება რამდენსამე წელიწადს, რომ თავისის ხელოვნების უფრო უკეთესად შესასწავლად იქაურ გამოჩენილ მოქანდაკეებთან იმუშავოს.

*** გაზ. „კავკას“-ს განჯიდგან დეპეშით ატყობინებენ: „12 სექტემბერს სისრულეში მოიყვანეს სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი ცნობილის ყაჩაღის სოიუნის შესახებ: ყაჩაღი საჯაროდ ჩამოაღრჩეს 6 საათსა და 50 წუთზედ“.

*** ჩვენ გვწერენ: სოფ. ბრეთსა, საღოლაშენსა, წვერსა და არადეთში ძალიან გავრცელდა გადამდები ავადმყოფობა—მუცელაო. უფრო ავად ხდებიან ბავშვები. ამ ცოტა ხანში მუცელამ რვა ცხრა ბავში იმსხვერპლა. ექიმია საჭიროო.

*** 13 სექტემბერს, კვირას, კვლავ მოქალაქეთა გამგეობის ხმოსანთა არჩევანი იყო. კრებას დაესწრო 62 ამომრჩეველი. საარჩევანო ყუთი დაუდგეს 53 კაცს. ამორჩეულნი აღმოჩნდნენ: ა. ჯილიაევი, ი. შაროევი, ი. გავრილოვი, ი. შალამოვი, ს. მანველოვი, ა სუსანოვი, ი. ვორონინი, ა ნაზარენკო, ი. მანველოვი, მ. მელქუმოვი, მ. სუსანოვი, ი. ინოზემცევი, გ. ხუციშვილი, ა. პერეიასლავცევი, ა. ბუღდანოვ-ბაღდასაროვი, ა. იამიკონოვი, ს. ხერუმოვი, ს. კიპარიზოვი, გ. რეიზერი, ვ. სევანოვი, მ. ბახუტოვი, ა. ლევინი, კ. დომბროვსკი, ე. ილიინი, გ. იორამაშვილი, გ. ჯორჯაძე, ი. ვოდოპიანოვი, ი. პროტოპოპოვი, ს. ბეგიჯანოვი. თ. ლაშკარიოვი, ა. თულაევი, ზ. თავშავაძე, პ. ლიტანოვი, გ. როსტომოვი, ვ. ასლამაზოვი, ე. ტერ-აბრამოვი, ა. ცატუროვი, ივ. მარკოზოვი, მ. სარქისოვი და ს. ბაბანასოვი.

არ ამოირჩიეს: ა. ოჰანეზოვი (ეს მეორედ იდგამს ყუთს), გ. არუთინოვი, თ. ქარუმოვი, თ. ქურდოვანიძე, ფ. ხანდამოვი, გ. დარჩიევი, ს. მიქელაძე, ი. ყაითმაზოვი, გ. ტერჯანიანცი, ს. სამხარაძე, ა. ვარძიგულოვი, ყული ახმედოვი და ტ. ესაიანცი.

სამ ხელად ამორჩეულთა შორის 22 სომეხია, 10 რუსი, 6 ქართველი, 1 გერმანელი და 1 ებრაელი. დარჩა ასარჩევი კიდევ 27 ხმოსანი, რომელთა არჩევანი კვირას, 20 სექტემბერს იქმნება.

*** თელავის მაზრის სოფ. ზემო ხოდაშენის მცხოვრებელმა ზაქარია ჩიგიაშვილმა თოფით მოჰკლა თიანეთის მაზრის სოფ. თეგოს მცხოვრებელი, მწყემსი ივანე ალთაურიძე.

**შეცდომის გასწორება:** „ივერიის“ მე-197 ნომრის „ახალ წიგნებ“-ში შეცდომით იყო დაბეჭდილი: „მივიღეთ მეექვსე, შევსებული გამოცემა ბ-ნის იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово“-ს მეორე ნაწილისა“... უნდა იყოს: „მივიღეთ მ ე ხ უ თ ე, შევსებული გამოცემა“ და სხვ.

## მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ტფილისიდგან გამობრძანდა სექტემბრის ხუთსა. თან ახლდნენ მხოლოდ სიონის ტაძრის მღვდელი მ. ანტონ თოთიბაძე, ამავე ტაძრის პირველი მთავარ-დიაკვანი მ. კ. გარგარეთელი და მეორე მთავარ-დიაკვანი. ტფილისიდგან მისი მეუფება გამოაცილა ტფილისის მაზრის უფროსმა თ. ლ. ჯანდიერმა. მათი მეუფება წაბრძანდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, რომელშიაც, როგორც გვახსოვს, არა ყოფილა არც ერთი ექსარხოსი ყოვლად უსამღვდელოესის ევსევის შემდეგ. მონასტერში დაუხვდა მას ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, საქართველოს ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსი. 5 სექტემბერს მათი მეუფება დარჩა მონასტერში და 6 წაბრძანდა დავით გარეჯის მონასტერში. ეს მონასტერიც, მგონია, უვალია ექსარხოსებისაგან. 7-ს ამ მონასტრიდგან მისი მეუფება გაიმართა სიღნაღს, სადაც ღამე დეკანოზ ს. ბეგიევისას დარჩა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდი არ წაბრძანებულა სიღნაღს. სიღნაღიდგან 8 სექტემბერს დედათა წმ. ნინოს მონასტერში წაბრძანდა, სადაც სწირა. 9 გაემართა ხირსის მონასტრისაკენ და გზაზედ დაათვალიერა ეკკლესიები და სამრევლო და სამინისტრო სკოლები. ყველგან მათი მეუფება დიდის ყურადღებით ეპყრობოდა მოსწავლეებს და იმათ ცოდნას, იმისდა მიუხედავად, თუ რომელს ენაზედ ჰქონდათ შეძენილი ცოდნა მოსწავლეებს. დიდი სიამოვნება ეტყობოდა, როცა პატარა გლეხის შვილები მოწიწებით კითხულობდნენ ლოცვებსა და უგებდნენ პასუხს. ყველა მღვდელს, რომელსაც სკოლა არა ჰქონდა, მღვდელმთავრულს დარიგებას აძლევდა და თან აუცილებელ პირობად უდებდა, რომ სამრევლო სკოლა დაეარსებინა მომავალში. 10 სექტემბერს ხირსის მონასტრიდგან გამოჰყვნენ სოფლებს და სადაც კი შეიძლებოდა ეკკლესიებისა და სკოლების დათვალიერება, არც ერთი არ დაუტოვებია. მათ ყოვლად უსამღვდელოესობას ყველგან ეგებებოდნენ ცხენოსანნი გლეხნი და აცილებდნენ ერთი სოფლიდგან მეორემდის. მრავალჯერ ცხენოსანთა რიცხვი ასზედ მეტი იყო. დღეში ხუთას ცხენოსნამდის იცვლებოდა. ყველანი მიისწრაფოდნენ მღვდელ მთავრის სანახავად, მისის კურთხევის მისაღებად. ყოველს მნახველს გული და სული უნათლდებოდა მათის მეუფების ლმობიერისა და მამობრივის სანახაობით.

10 სექტემბერს მათს მეუფებას დაუღამდა ს. გურჯაანში და ღამე გაატარა მღ. პ. კარბელოვისას. 11 სექტემბერს გურჯაანიდგან წამობრძანდა და ვაჩნაძიანამდის გზაზე ეკკლესიები და სკოლები დაათვალიერა. თელავის მაზრის ს. ყურიათუბანში დაჰხვდნენ მათს მეუფებას თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. მაყაშვილი, მაზრის უფროსი ვ. ვ. განსევიჩი, ბლაღოჩინი დ. გოგიევი, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და გლეხნი. აქ თავად-აზნაურობის წინამძღოლმა მიჰმართა მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით. სიღნაღის მაზრაში მათის მეუფებისაგან დაჯილდოებულნი ახალგაზრდა მღვდლები მ.მ. მიხ. ბენაშვილი და ეგ. მენთეშაშვილი ენქერით თან ახლდნენ შესაფერის კურთხევის მისაღებად. პირველი — მ. ბენაშვილი დაჯილდოვებულ იქმნა იმისათვის, რომ ერთის წლის სამსახურის განმავლობაში უკვე საქალებო სკოლის დაარსება მოახერხა და თვით მათ მეუფებას აკურთხებინა. მ. ეგ. მენთეშაშვილს ექვსი წელიწადია თავისს მრევლში სკოლა აქვს და კარგადაც აწარმოებს თურმე. ამასთან უნდა დავძინო, რომ ვიდრე მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გამოვიდოდა ტფილისიდგან, თელავის სამღვდელოებამ, თავად-აზნაურობამა და მოხელეებმა სთხოვეს მათ მეუფებას მარშლის თ. მაყაშვილის პირით, რომ სადილად სწვევოდათ. მათმა მეუფებამ დეპეშითვე თანხმობა განაცხადა. რასაკვირველია, თელავის საზოგადოება დიდის მოუთმენლობით ელოდებოდა მათ მეუფებას.

11-ს სექტემბერს, საღამოს, მათი მეუფება ვაჩნაძიანში მიბრძანდა თ. ლ. ჯანდიერისას. 12 სექტემბერს იქიდგან წინანდალში თ. ზაქარია ჭავჭავაძისას ისაუზმა და საღამოს 4 საათზედ მობრძანდა თელავში. ვიდრე თელავში მობრძანდებოდა, გზაზედ ეკკლესიები და სასწავლებლები დაათვალიერა. განსაკუთრებით მოეწონა მათს მეუფებას შაშიანის სკოლის ბავშვების ჯან-მრთელობა და კურდღელაურის სკოლის ბავშვების ცოდნა. ორივე სკოლის მასწავლებელთ შიუკაშვილსა და მ. ჯაჯანიძეს მადლობა გარდაუხადა.

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**არგვეთი**, 7 სექტემბერი. ჩხარის სასოფლო-საზოგადოებას, თერჯოლისას და საზანოსას აქაურები საზოგადოდ არგვეთს ეძახიან. ეს მხარე თავისის მდებარეობით, სილამაზ-სიკეკლუცით და პურ-ღვინის მოსავლით შორაპნის მაზრის საუკეთესო ნაწილს შეადგენს. შორაპნის მაზრაში, საჩხერეს ახლომახლო სოფლების გარდა, იმდენი პური არსად არ ითესება და არც მოდის, რამდენიც აქ. აქაური გლეხი თუმცა პურს შინ არა ჰხმარობს, მაგრამ სულ უბრალო ლხინში და სტუმართან სიმინდის მჭადს არასოდეს არ გამოაჩენს, — სამარცხვისობს. საზოგადოდ ჭირნახულის მოსავალი არგვეთში უხვი იცის. ბათმანი (აქაური ბათმანი ათი ოყაა) კარგი ხორბალი პური შემოდგომაზედ სამ აბაზად ჰფასობს, სიმინდი ხუთს შაურს ძნელად ასცილდება, ღვინო — ექვს შაურად იყიდება და ღომი-კი ათ შაურად გადის. ამ ოთხიოდე წლის წინად აქეთ ვენახები, ფილოქსერას წყალობით, გახმობის გზას ადგა, რის გამოც ხალხი დიდს საგონებელში იყო ჩავარდნილი. ეს მეორე წელიწადია, რაც ვენახები გამობრუნდა, თუმცა უწინდელი მოსავალი აღარ არის ღვინისა, მაგრამ აქაური გლეხები მაინც არა დრტვინავენ.

აქაურს ნიადაგს ას წილად შეუძლიან დააჯილდოვოს მშრომელი, მაგრამ არგვეთის მკვიდრნი მაინც საზოგადოდ ღარიბად სცხოვრობენ. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ, პურისა და სიმინდის თესვის გარდა, აქაურები მეურნეობის სხვა დარგის მოვლა-მოყვანას არ მისდევენ. აქ ისე მოსახლე ძნელად მოიძებნება, რომ ოცი და ორმოცი ძირი ბჟოლის ხე არ ედგას ეზო-გარემოში და დღემდის ის ვერ შეუგნიათ, რომ ამ მცენარის ფოთლებით კაცს შეუძლიან აბრეშუმი მოიყვანოს და ამით თავისი ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესოს. მართა-

---

რაუში წავიდა თავისს საუკეთესო ამხანაგ ქალთან და როდესაც იქიდგან დაბრუნდა, გახარებული და გაბრწყინვალებულის თვალებით შევარდა ოთახში. ხელში მოწიწებით რაღაცა ეჭირა ქაღალდში გამოხვეული. როდესაც გახსნა, განცვიფრებულმა ტედდიმ თავისი რომანი დაინახა.

— ჯესსი! საიდგან ჩაგივარდა ხელში ეგ რომანი, ჰკითხა გაკვირვებულმა ტედდიმ.

— ვიპოვნე!

— იპოვნე?

— ჰო! ვაგონში ერთი ქალარა შერეული კაცი იჯდა და კითხულობდა. ხელთ-ნაწერი მაშინვე ვიცანი. თან საკვოიაჟი ჰქონდა, რომელსაც ასოები „ვ. რ.“ ეჯდა. რაღა თქმა უნდა, მისტერ რეჯენტი იქნებოდა.

— უთუოდ! მერე?

— როდესაც სადგურთან გავჩერდით, რეჯენტს ჩაეძინა.

— ჩემის რომანის კითხვაში?

— რომანი გვერდით დაიდო. მატარებელმა რომ წასვლა დააპირა, საკვოიაჟსა და ქოლგას დაავლო ხელი და გარეთ გავარდა.

— ხელთ-ნაწერი დასტოვა?

— ჰო, დასტოვა და აი, ესეც შენი ხელთნაწერი... ოჰ, ჩემო მეგობარო, რა მიუხვედრელი კაცი ხარ!.. იცი, ეს რა ბედნიერებაა ჩვენთვის?

— ბედნიერება?

— მოულოდნელი! გამიგონე, რა გითხრა... და ჯესს მთელს ათს წუთს ელაპარაკა გაცხარებული და გატაცებული. როდესაც ლაპარაკი დაასრულა, აღტაცებულმა ტედდიმ სიხარულით დაიყვირა:

— ჯესსი! რა ყოჩაღი რამა ხარ!

— ეხლა, შემორჩილები, თუ არა? აასრულებ ყოველს ჩემს ბრძანებას?

— რასაკვირველია, აღვასრულებ. მიუგო ტედდიმ, გადაეხვია და კოცნა დაუწყო.

მეორე დღეს გაზეთებში შემდეგი განცხადება დაიბეჭდა: „ესტონიდგან გარაუში მიმავალ მატარებლის მეორე კლასში დამრჩა ხელნაწერი. ხელნაწერს სათაური აქვს: „უუსაძაგლესი დედაკაცი ლონდონისა“. მპოვნელს მიეცემა ჯილდოთ 500 გირვანქა სტერლინგი. ვსთხოვთ ხელნაწერი ბ-ნთ რეჯენტსა და რაუს წარუდგინონ. 500 გირვანქა სტერლინგმა, ხელნაწერის სათაურმა და გამომცემელთა სახელმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

ერთის კვირის შემდეგ ეს განცხადება ხელმეორედ დაიბეჭდა. ქალაქში ლაპარაკი დაიწყეს როგორც 500 გირვანქა სტერლინგისა, აგრეთვე „უუსაძაგლესი დედაკაცის ლონდონისა“-ს შესახებ. გაზეთებში, განცხადების გარდა, შემდეგის შინაარსის პატარა შენიშვნებსაც შეხვდებოდით: „ცნობილის ჟურნალისტის ახალი რომანი, რომლის შინაარსიც აწინდელ ცხოვრებიდგან არის აღებული, ბ-ნთ რეჯენტმა და რაუმ შეიძინეს დასაბეჭდად. ეს რომანი მატარებელში დარჩა ბ-ნ რეჯენტს, რომელიც იმდენად გაიტაცა იმის შინაარსმა, რომ თან წაიღო და ჰსურდა სახლში გულდასმით წაეკითხა“.

რამდენისამე დღის შემდეგ გაზეთები მიჩუმდნენ, მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ხელ ახლა ალაპარაკდნენ: ხელთ-ნაწერი აღმოჩნდა. როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, იმ ვაგონში, რომელშიაც ხელთ-ნაწერი დარჩა, მჯდარა მხოლოდ ერთი მგზავრი. მგზავრს დაუნახავს ხელთ-ნაწერი, აუღია და კითხვა დაუწყია. ლივერპულიდგან მგზავრი ნიუ-იორკში უნდა წასულიყო. რადგანაც ხელთ ნაწერის შინაარსს ძალიან გაუტაცნია, გარდაუწყვეტია ნიუ იორკიდგან გავუგზავნი პატრონს, მანამდის-კი ვიკითხავო. მაგრამ ნიუ-იორკში მისვლისათანავე ისეთი დეპეშა მიუღია, რომ „უუსაძაგლესი დედაკაცი ლონდონისა“ სულ აღარ გახსენებია. მგზავრს მოულოდნელად ახალი საქმე გასჩენია სან-ფრანცისკოში, საიდგანაც შემდეგ ჩინეთში უნდა წასულიყო თურმე. მხოლოდ მესამე დღეს მოჰგონებია, რომ რომანი გასაგზავნი იყო, მაგრამ სან-ფრანცისკოში მეხსიერებას უღალატნია და ხელ-ახლად დაჰვიწყებია ხელთ-ნაწერის გაგზავნა. მგზავრი შეწუხებულა, გარდაუწყვეტია, ჩინეთში მისვლისათანავე დანიშნულებისამებრ გაუგზავნი ხელთ-ნაწერსაო. მაგრამ, საუბედუროთ გემიდგან გარდასვლისას დაუკარგავს საკვოიაჟი, რომელშიაც ხელ-ნაწერი ჰქონია შენახული და ამ რიგად ეს გარდაწყვეტილება სისრულეში ველარ მოუყვანია. მგზავრს ბევრი უძებნია, ადგილობრივ მცხოვრებლებისთვისაც კი დაუვალებია რომანის პოვნა, მაგრამ ყოველსავე შრომას უქმად ჩაუვლია... ამ ამბავმა გაზეთები უფრო აალაპარაკა, ბევრგან სასაცილო მოთხრობებიც-კი დაიბეჭდა შემდეგის სათაურით: „ხელნაწერის თავ-გარდასავალი“.

როდესაც ხელთ-ნაწერი მართლა აღმოჩნდა და დაიბეჭდა, საზოგადოება ისე იყო დაინტერესებული იმისის შინაარსით, რომ „უუსაძაგლესი დედაკაცი ლონდონისა“-ს პირველი გამოცემა ერთს კვირაში გაიყიდა. ჟურნალ-გაზეთებმა ცამდის შეაქეს რომანი და იმისი დამწერი. მეორე გამოცემას მალე მესამე და მეოთხე მოჰყვა. ტედდის სახელით გაამაყებულმა კენნინგემმა — მამამ შვილის ყოველივე ურჩობა დაივიწყა და სიხარულით გაუწოდა ხელი. ტედდიმ დაწვრილებით უამბო მამას ხელთ-ნაწერის თავ-გარდასავალი. მოხუცი განცვიფრებული შეჰყურებდა შვილს.

— როგორც ვატყობ, ტედდი, შენი ცოლი ჰკვიანი ქალი ყოფილა, ჩაილაპარაკა მოხუცმა, ძალიან ჰკვიანი. მე მეგონა, არტისტი-ქალი შეირთე მეთქი და, თურმე ნუ იტყვი, დიდად გონიერი და საქმის ქალი-კი ყოფილა. შენ ცოლს ისეთი თავი ჰქონია, რომ უთუოდ კაცად გამოგიყვანს, ღმერთს გეფიცები, გამოგიყვანს. არ შეიძლება გამაცნო შენი მეუღლე?

ტედდიმ საწოლ ოთახიდგან გამოიყვანა ჯესსი ბავშვითურთ და მხიარულის ღიმილით წარუდგინა თავისს მამას.

ი. ა—ძე

დია. აქა იქ დედაკაცები სცდილობენ აბრეშუმის მოყვანას, მაგრამ იმათი ცდა და შრომა განა სახსენებელია? წელს მაისის თვეში ბ-ნი ქუთათელაძე ეწვია ამ მხარეს და ზოგიერთ სკოლის მასწავლებელს აბრეშუმის თესლი უსასყიდლოდ დაურიგა; როდესაც მეორედ ჩამოიარა აბრეშუმის პარკების დასათვალიერებლად, მასწავლებლებისაგან გაიგო, რომ ახლო-მახლო სოფლებში დედაკაცებსაც ჰყავთ აბრეშუმის ჭიაო. დიდად ესიამოვნა ეს გარემოება და დედაკაცების ნაშრომის ნახვაც მოისურვა, მაგრამ რა ჰნახა: უცოდინარობის გამო დედაკაცების ნაშრომ-ნაღვაწი აბრეშუმის ჭიები წამხდარ-დაყვითლებული იყო და, რომელსაც პარკების გაკეთება მოესწრო, ისიც დაუსრულებელი იყო. ბ-ნ ქუთათელაძემ უთხრა მამასახლისის თანაშემწეს, რომ დედაკაცებისათვის თავი მოეყარა ალის-უბნის მეორე-კლასიან სამრევლო სასწავლებელში, სადაც წელს მასწავლებლებმა მშვენიერი აბრეშუმი მოიყვანეს ორ ფუთამდის და მასწავლებლებს დაავალა ქალებისათვის ეჩვენებინათ აბრეშუმის პარკები და აეხსნათ მისის მოვლისა და მოშენების ხელი. სამწუხაროდ, ბ-ნთ მასწავლებლებმა ამ დავალების ასრულებით თავი არ შეიწუხეს. ამგვარად საწყალმა დედაკაცებმა საგისოდ ან სულ თავი უნდა დაანებონ აბრეშუმის მოყვანას და ან ისევ თავისებურად უნდა შეუდგნენ მუშაობას.

აბრეშუმის გარდა, მებოსტნეობისთვისაც არგვეთი მშვენიერს ნიადაგს წარმოადგენს, მაგრამ აქაურნი მკვიდრნი არც ამას მისდევენ. რა უნდა იყოს ამისი მიზეზი? ისა, რომ აქ ცოტანი მოიძებნებიან ხალხის გულშემატკივარნი და ამას გარდა, არც რიგიანი სკოლები არის, სადაც ხალხს შეეძლოს თვალ საჩინოდ დაინახოს და შეეჩვიოს მეურნეობის სხვა-და სხვა დარგის მოვლა-მოყვანას. ამოდენა კუთხეში, რომელიც სამის დიდის და ნაყოფიერ საზოგადოებისაგან შესდგება, ერთი სამინისტრო სკოლაც არ არსებობს. მართალია ამ სამს საზოგადოებაში ოთხი სამრევლო სკოლაა, მაგრამ ესენი, ერთის გარდა, რომელიც სოფელს ალის უბანში აქვს სასულიერო მთავრობას დაარსებული, ერთს სამინისტრო სკოლადაც არა ჰღირს. რაც შეეხება ალის-უბნის სამრევლო სკოლას, რომელიც ამ ორის წლის წინად მეორე კლასიან სამასწავლებლო სასწავლებლად გარდააკეთეს, ჯერჯერობით იმის შესახებ არც სიმდურავის თქმა შეიძლება და არც ქება-დიდების. ასე თუ ისე სოფელს ალისუბანში მცხოვრებნი დიდად გაახარა იმ ამბავმა, რომ ამ სასწავლებლის უმცროსს კლასებში სწავლის ფული შეამცირეს, ე. ი. ოთხ მანეთიდგან ორ მანეთამდე დაიყვანეს.

რიგიან სკოლებს გარდა, ამ მხარეს სხვაც რამ ბევრი აკლია, მაგრამ ის-კი ღირსია აღნიშვნისა, რომ ექიმის მხრით არგვეთი თითქმის უზრუნველია. აგერ ათ წელიწადზედ მეტი გადის, რაც დაბა ჩხარში დაბინავებულია ფერშალი ბ-ნი კლიმონტი. თუმცა იგი გვარ-ტომობით პოლონელია, მაგრამ ისე კარგადა აქვს შეთვისებული ქართული ენა, რომ არამც თუ ლაპარაკობს ქართულად, — წერა-კითხვაც-კი იცის ქართული. ბ-ნი კლიმონტი ღირსია ქებისა იმისათვის, რომ ავადმყოფების ნახვისა და რჩევის მიცემისათვის დიდს ფულს არა თხოულობს და მცირედითაც კმაყოფილი რჩება. ვისურვებთ, რომ დიდხანს დარჩენილიყოს იგი ჩვენს ქვეყანაში.

მ. ფარცხნანელი

# რუსეთი

—

კავკასიის ნავთის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღძრეს ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართონ გამართონ იმ ადგილებში, სადაც ნავთის წარმოებაა, დაბალი სასწავლებლები მუშათა ბავშვებისათვის. ამ სასწავლებელში ბავშვებს უმთავრესად ნავთის საქმეს ასწავლიან.

— მთავრობამ ნება დართო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორებს, რომ საღამოს ლექციები გაჰმართონ ხოლმე ხალხისათვის. ლექციების კითხვას ოქტომბრის ნახევრიდგან შეუდგებიან.

— როგორც ვუწყით, დღემდის პეტერბურგის ახლად დაარსებულს ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში იღებდნენ მხოლოდ იმ ქალებს, რომელთაც გიმნაზიის რვა კლასი ჰქონდათ გათავებული. ეხლა საერო განათლების სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ინსტიტუტში შესვლა იმათაც შეუძლიანთ, ვისაც მხოლოდ გიმნაზიის შვიდი კლასი აქვს გათავებული.

— სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ სასულიერო კონსისტორიები ვალდებულნი არ არიან პასუხი გასცენ იმ მღვდლებს, რომელნიც დეპეშებით შეეკითხებიან შეგვატყობინეთ ამა და ამ კერძო კაცის დაბადების და მონათვლის დღეო.

— „Нов. Вр.“ იუწყება, რომ ნოემბერსა ან დეკემბერში მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ მოწვეული იქმნება, მიწად-მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით კომისია, რომელზედაც ლაპარაკი იქმნა დედათა შორის სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სწავლის გავრცელების შესახებ.

— აზრადა აქვთ გაავრცელონ იმ სასწავლებლების პროგრამა, რომელიც საქველ-მოქმედო საზოგადოებათა მიერ არის დაარსებული. ამ სასწავლებელში ისეთივე პროგრამა იქმნება შემოღებული, როგორც საქალაქო სასწავლებლებშია.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ახალი სამხედრო მინისტრი, გენერალი შანუანი, დიჟონში დაიბადა 1835 წელს. სამხედრო განათლება მიიღო მან სენსირის სასწავლებელში და შემდეგ დიდ ხანს მოუხდა ცხოვრება შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც პირველადვე სახელი გაითქვა ჩინეთთან ბრძოლის დროს. შემდეგ ის იაპონიაში წავიდა და დიდს მონაწილეობას იღებდა იაპონიის ჯარის გაწვრთნასა და საზოგადოდ იქაურ მხედრობის ახალს წესრიგზედ დაყენების საქმეში. საფრანგეთში დაბრუნებისათანავე, შანუანი გენერალ ფროსსარის ადიუტანტად იქმნა დანიშნული და ეს თანამდებობა ეჭირა მას საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს (1870 წ.). 1875 წელს ის პეტერბურგში იქმნა დანიშნული საფრანგეთის სამხედრო აგენტად. 1885 წელს შანუანი საფრანგეთის მთავრობამ პეკინში გაჰგზავნა საგანგებო მინდობილობით. იქიდგან დაბრუნების შემდეგ მას ბრიგადის გენერლობა მისცეს, ხოლო 1893 წ. — დივიზიისა. ბოლოს დროს შანუანი უფროსობდა ქვეითა ჯარის დივიზიას ლილში. შანუანს განათლებულის კაცის სახელი აქვს მოპოვებული; იმან, სხვათა შორის, კარგად იცის რუსული და ჩინური ენები. გაზეთების სიტყვით, გარკვევით არავინ იცის, რომელ პოლიტიკურ დასის მომხრეებს ეკუთვნის შანუანი, თუმცა ცნობილია, რომ ბულანჟესი დიდი წინააღმდეგი იყო ის, იმის მოძღვრების დამხობას შანუანმა დიდად შეუწყო ხელი და ამითი დიდი დახმარება აღმოუჩინა მაშინდელ მთავარ მინისტრს კონსტანს.

შანუანი რუსეთის დიდ მეგობრად ითვლება. როცა 1893 წ. რუსეთის ფლოტი ესტუმრა საფრანგეთს ადმირალის ავლანის უფროსობით, შანუანმა მეტრფესი მასპინძლობა გაუწია რუსეთის ზღვაოსანთ.

შანუანს უთქვამს თავისის მეგობრებისათვის, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის სურვილის თანახმად ვკისრე სამხედრო მინისტრობა და ჩემს მოვალეობად ვრაცხ, მხოლოდ ჯარის პატივი და სახელი დავიცვაო.

— დეპუტატის სან-ბეფის თავმჯდომარეობით ამ დღეებში პარიჟში კრება გაუმართავთ, რომელსაც შემდეგი დაუდგენია: „საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ თუმცა დიდი მომხრე ვართ მშვიდობიანობის და ერთა შორის მმობისა და მეგობრობისა, მაგრამ ვიდრე ელზას-ლოთრენის საქმე საბოლოოდ არ გარდასწყდება, ე. ი. ეს პროვინციები უკანვე არ დაუბრუნდება საფრანგეთს, იმ დრომდე ჩვენ არავითარის პროექტის მიღება არ შეგვიძლიან. ჩვენ რომ ასე არ მოვიქცეთ, საფრანგეთი მთელის ქვეყნის თვალში სახელს დაჰკარგავს და სამუდამოდ შერცხვენილი იქმნებაო“.

—

**ფილიპეს კუნძულები.** ფილიპეს კუნძულების მეამბოხენი, როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, თავიანთ ქვეყანას სამუდამოდ განთავისუფლებულადა სთვლიან და შინაურ საქმეების მოწყობასა და მართვა-გამგეობას შესდგომიან. ამ დღეებში ამ კუნძულების ერთ ერთს ქალაქში, მალოსში კონგრესი გაუმართავთ, რომლის შესახებ აი რას იწერება ერთის გაზეთის კორესპონდენტი. გენერალი აგვინალდო (მეამბოხეთა მეთაური), რომელსაც თან ახლდნენ თავისი მინისტრები და დიდ-ძალი გენერლობა, თავისის სადგურიდგან ეკლესიაში წავიდა. გზა საუცხოვოდ მორთულ-მოკაზმული იყო მგირფასი მცენარეებით, ყვავილებითა და დროშებით. გზაზედ ჯარი იყო გამწკრივებული და სადღესასწაულოდ გამოწყობილის აუარებელის სოფლის ხალხს კაცი გვერდს ვერ აუვლიდა. ეკლესიაში აგვინალდოს დეპუტატები მიეგებნენ და ტრიბუნამდე მიაცილეს, საიდგანაც მან სიტყვა წარმოსთქვა. პირველად მან მიულოცა დეპუტატებს, რომ ომი გათავდა და ქვეყანა განთავისუფლდაო. დიდის მჭევრმეტყველებით სთხოვა დეპუტატებს, რომ არ დაივიწყოთ შესანიშნავი მამულიშვილები, რომელთაც თავიანთი თავი არ დაზოგეს სამშობლოს განთავისუფლებისათვის და მიჰბაძონ ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკას, რათა შემოღებულ იქმნას კონსტიტუცია და გამოცემულ კანონები ხალხის თავისუფლების სამუდამოდ დასამყარებლადაო. შემდეგ კრებას სჯა-ბაასი გაუმართავს იმის შესახებ, როგორი კონსტიტუცია შემოიღონ და ვინ აირჩიონ პრეზიდენტად. ერთი ძლიერი დასი, რომელიც ერთობ კმაყოფილია აწინდელის გამარჯვებით, დიდი წინააღმდეგი ყოფილა იმისი, რომ ფილიპეს კუნძულები რომელისამე ძლიერის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დარჩეს. ამ დასის აზრით იქაურ ხალხს თითონვე შეუძლიან თავისი თავის მოვლა და მართვა-გამგეობა. ზოგიერთები-კი წინააღმდეგნი არიან თუ-რმე ასეთის აზრისა და ხალხს აფრთხილებენ, — მეტის მეტად ნუ გათამამდებითო. მხოლოდ ერთის საგნის შესახებ ყოფილან უყვლანი თანახმანი. ესპანიას არავითარი ზედ-გავლენა აღარა ჰქონდეს კუნძულების საქმეებზედაო.

—

**ავსტრია.** დიდის ამბით ემზადებოდნენ ავსტრო-უნგრეთის იმპერატორის ფრანც-იოსების ორმოცდა-ათის წლის მეფობის იუბილეის გარდახდას, მაგრამ იმავე სახელმწიფოს დედოფლის მოულოდნელი და საზარელი სიკვდილი ამ სადღესასწაულო სამზადისს წინ გადაეღობა. ამ დღესასწაულის გარდახდას აღარ აპირებენ. ეხლა აზრად აქვთ, — რა ფულებიც სადღესასწაულოდ გადადებული იყო, იმას სხვაც კიდევ დაუმატონ და ამ თანხით ყვენაში სასტუმრო იყიდონ, სადა დედოფალი გარდაიცვალა. ამ სასტუმროს დიდ საავადმყოფოდ გარდააკეთებენ, რომელიც განსვენებულის დედოფლის სახელის მოსახსენებლად იქმნება დაარსებული.

# დამკვირდი

გაქქდის მოთმინებაჲ სრული საქმესა რომელსა იწოდე; განაკრძალე საჭნი და საბლნი, რათა მცირედ-მცირედ გამოიყვანო ნავი შენი უფსკრულისაგან.

ეფრემ ასური

* * *

უნდა მხვნელთა და მთესველთ,
მწიდვნელთა განა მბარავთა
მზის ამოსვლითგან ჩასვლამდე
შიგ არ შეხედონ კარავთა,
ცხელის ოფლით დამწვართა
რაც იმუშაონ, ჭამონ და
აჭამონ ქვეყნის მფარავთა:

დავით გურამიშვილი

* * *

ფუტკარსა ვითარ კვამლი იოტებს, ხოლო ტრედსა განსდევნის საყნოსელთ სიკეთე, ეგრეთ დუმილსა განსდევნის კაცთა თანა ყოფაჲ.

იოანე

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჰერცოგის ალბერმოლის დღიურში სხვათა შორის შემდეგი იშვიათი ამბავია აწერილი: „1818 წელს კაპტუანში მდგომ რაზმის მკურნალად იყო ერთი მკურნალი იაკობ ბარრი, რომელიც განთქმული იყო თავისის უცნაურის ქცევით. ნაცნობებმა ამ მკურნალზედ ლაპარაკით ისე გამომიჭედეს ყურები, რომ მე თითონ მოვისურვე იმისი ნახვა. სურვილი მალე ამისრულდა. ერთხელ სადილად მიმიწვიეს და იაკობ ბარრიც იქ იყო. ჩემს გვერდზე იჯდა ახალგაზდა, ჯერ უწვერ ულვაშო კაცი. ეტყობოდა, რომ შოტლანდიელი უნდა ყოფილიყო. მიხვრა-მოხვრა სულ დედაკაცისა ჰქონდა, ლაპარაკი კარგი და სასიამოვნო იცოდა. კაპტუანში რომ იყო, ხშირად ჰბრალდებოდა წეს-რიგის დარღვევა და მრავალჯერ დაუსჯიათ დაპატიმრებით, მაგრამ, რაღაც უცნაურის მიზეზისა გამო შტაბი ყურადღებას არ აქცევდა იმისს ოინებს. საზოგადოდ ბარრის ცხოვრება დიდის საიდუმლოებით იყო მოცული მთელის 50 წლის განმავლობაში. ბარრი ჩინებულ მკუნალად ითვლებოდა და კარგს თანამდებობასაც ეღირსა. 1865 წელს სამხედრო კაცთა სიაში იაკობ ბარრი მოხსენებული იყო, ვითარცა სამკურნალოთა მთავარ-ინსპექტორი. იმავე წლის ივლისში გაზეთ „Times“-ის ერთს ნომერში გამოცხადებული იყო ამბავი მკურნალის [illegible] გარდაცვალებისა, ხოლო მეორე დღეს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მკურნალი ბარრი თედაკაცი ყოფილა.

მაშასადამე იაკობ ბარრი პირველი მკურნალი-დედაკაცი იყო და თვისის ცოდნითა და მეყაითობით საუკეთესო თანამდებობას მიაღწია და მთახერხა 50 წლის განმავლობაში ისე მოქცეულიყო, რომ ვერავის შეეტყო იმისი ვინაობა. აქამდე გამოურკვეველია, რად მოიწადინა ამ დედაკაცმა თავისის ვინაობის დაფარვა და მერე ისეთის ოსტატობით, რომ ვერც იმისმა სახლის პატრონმა დედაკაცმა შეიტყო იმისი ვინაობა და ვერც ერთმა ზანგმა დედაკაცმა, რომელიც დიდ ხანს ემსახურებოდა იაკობ ბარრის.

ზოგიერთი ცნობები ამ მკურნალის შესახებ მოჰყავს სერ ვილლიამ მაკინონს, სამხედრო სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორსა.

„მკურნალი ბარრი დედაკაცი იყო, — სწერს ეს დირექტორი. იმისი მამა შოტლანდიელი ბარონეტი ბუხანი იყო, დედა — სამერსეტის ასული. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მკურნალს იაკობ ბარრის სწყალობდნენ და ჰფარველობდნენ მთავარ შტაბის მოხელენი ფიტიროი სამერსეტი და ლორდი რაგლანი. 1813 წელს, 5 ივლისს იაკობ ბარრი დანიშნულ იქმნა სამკურნალოს უფროსის თანაშემწედ, 1826 წელს, 7 დეკემბერს — მკურნალის თანაშემწედ, 1827 წელს, 22 დეკემბერს — მკურნალად, 1851 წელს, 16 მაისს — სამკურნალოების დეპუტატ-ინსპექტორად. დათხოვნილ იქმნა 1859 წელს, 19 ივლისს და დაენიშნა პენსია, წლიური ჯამაგირის ნახევარი“.

სულ პირველად იაკობ ბარრიმ სამსახური დაიწყო კაპტუანში, როდესაც იქ უფროსად იყო იმისი ნათესავი, ლორდი ჩარლს სამერსეტი. იქ იაკობმა ხმალში გამოიწვია გუბერნატორის ადიუტანტი კლოტი. რამდენსამე წლის წინად ვილიამი მაკინონი შეჰხვდა სადილზე ამ კლოტს და იმანაც შემდეგი უამბო.

„მე ერთად ერთი მხედარი ვარ ინგლისის ჯარისა, რომელსაც დედაკაცთან ხმალში გასვლა ეღირსა. ლორდ ჩარლს სემერსეტთან რომ ადიუტანტად ვიყავი კაპტაუნში, ერთხელ ჩემთან საქმისათვის ერთი ქალი მოვიდა. ორთავენი ცალკე ოთახში ვისხედით და ვლაპარაკობდით. მკურნალმა ბარრიმ ამის გამო რაღაც იხუმრა. — მე მივედი, მოვკიდე ხელი გრძელ და უშნო ცხვირზე და უთხარი, ბოდიში მოითხოვე მეთქი. ბარრიმ იმ წამსვე ხმალში გამიწვია.“

მკურნალს ბარრის თბილ ქვეყნებში უფრო მოსწონდა ცხოვრება. ყველაზე დიდ ხანს იმსახურა ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე და ინდოეთში. სერრ ვილიამ მაკინონს მოჰყავს შინაარსი რამდენისამე ოფიციალურის ქაღალდისა მკურნალის ბარრის შესახებ. სხვათა შორის ერთში სწერია: „ვუცხადებთ დიდს მადლობას მკურნალს იაკობ ბარრის იმ ცოდნისა და მხნეობისათვის, რომელიც გამოიჩინა გადამდებ სენის მძვინვარების დროს ინდოეთში“. გარდა ამისა მაკონონი ამბობს, რომ ეს დედაკაცი მკურნალი იაკობ ბარრი ვატერლოოსთან მომხდარ ბრძოლის დროს ჯარში იყო და აგრეთვე ყირიმის ომის დროსაც. ამასვე ამტკიცებს ტომას ლონგმარი, რომელსაც ბარრი უნახავს ლორდ რაგლანთან.

ამერიკელი ცნობილი მწერალი სწერს თავისს უკანასკნელ წიგნში:

„კაპტუანში ერთის მდიდარის კაცის სახლში ერთხელ ვნახე დიდი სურათი ახალგაზდა კაცისა წითელის მუნდირით. ეს სურათი იყო მკურნალის იაკობ ბარრისა, რომელიც კაპტუანში მოსულიყო 50 წლის წინად. ეს ახალგაზდა კაცი თამამი და შეუპოვარი იყო და მრავალი ოინები ახსოვთ იმისი. მრავალჯერ გაიგზავნა საჩივრები ამ მკურნალზე ლონდონში და ყოველთვის ჰფიქრობდენ, მთავარი შტაბი სასტიკად დასჯისო, მაგრამ იქიდგან არც ერთხელ პასუხი არ მოსულა საჩივრებზე. ერთხელ ეს მკურნალი ერთს მშობიარე დედაკაცთან დაიბარეს, რომლის შესახებ მკურნალებმა სთქვეს, არ მორჩებაო. მკურნალმა ბარრიმ დედაც გადაარჩინა სიკვდილს და შვილიც. ახლად დაბადებულს ბავშვს ბარრის პატივსაცემლად სახელად იაკობი დაარქვეს. ეს იაკობი ეხლაც ცოცხალია, ბარრის სურათიც იმან დაახატვინა.

„1857 წელს მე და სამკურნალოთა მთა-

ვარ-ინსპექტორი იაკობ ბარრი ერთად მივდიოდით გემით. ერთს ოთახში ვიყავით. მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, რომ სამხედრო მკურნალი დედაკაცი იყო. კარგად მახსოვს, დილით რომ მთხოვა, პატარა ხანს გარედ გადი, ტანთ-უნდა ჩავიცვაო. მკურნალს თან დაჰყავდა მოსამსახურე ზანგი დედაკაცი, ერთი ფინია და თხა. უნდა მოგახსენოთ, რომ მკურნალი ხორცს სრულებით არა სჭამდა და თხის რძით იკვებებოდა. ბარრი დაბალის ტანისა იყო, ულამაზო, ცხვირი მეტად გრძელი ჰქონდა, სახე დაჭმუხნული. თმას მოკლედ იკრეჭავდა; ფეხები ძლიერ პატარა ჰქონდა, რის გამოც ამხანაგები დასცინოდნენ. არაყსა ღვინოსა და ლუდს სრულებით არ ეკარებოდა. ძლიერ მკვეხარა იყო და თავი მოჰქონდა, ქალებს ძლიერ უყვარვარ და ძლიერ ბევრი გამიბავს სიყვარულის ბადეშიო. მეჯლისის დროს ბარრი უეჭველად ყველაზე ლამაზს ქალს დაუწყებდა ხოლმე საუბარს. ვიდრე ცოცხალი იყო ბარრი, არავის არაფერი შეუტყვია იმის ვინაობისა.

იაკობ ბარრი 71 წლისა გარდაიცვალა ლონდონში 1865 წელს, 15 ივლისს და მხოლოდ იმის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, რომ დედაკაცი იყო. ბარრის გვამი დასაფლავებულია კენზელ-გრინის სასაფლაოზე“.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო წიგნი: „Тифлисское Церковное Древлехранилище“. წიგნში მოთავსებულია: 1, წესდება ტფილისის საეკკლესიო სიძველეთა საცავისა (რუსულს ენაზედ) 2, მოკლე ისტორია ამ საცავისა და მოღვაწეობა იმის კომიტეტისა (რუსულსავე ენაზედ) შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ; 3 კატალოგი სიძველეთა საცავის წიგნებისა (ქართულსა და რუსულს ენაზედ); 4, სია გუჯრებისა და სიგელებისა, (ქართულს ენაზედ) და 5, სია სამღვდელო შესამოსლებისა, საეკკლესიო ნივთებისა, ძველის ფულისა და სხვ. (რუსულს ენაზედ). წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 116 გვერდს და ღირს 20 კაპეიკად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 სექტემბერი

**პარიჟი.** დეპუტატის ცოლმა ქ-ნმა პომიემ გაზ. „Lanterne“-ს რედაქციის კანტორაში მილიერანი იკითხა, მაგრამ ეს უკანასკნელი იქ არ აღმოჩნდა. მაშინ ქ-ნმა პომიემ რევოლვერი ესროლა რედაქტორს ოლივიეს და მუცელში დასჭრა. ქ-ნი პომიე დაპატიმრებულ იქმნა. დეპუტატის ცოლმა განაცხადა, რომ მოკვლა მინდოდა მილიერანისაო, რადგანაც მან დაბეჭდა „Lanterne“-ში საწყენი სიტყვები პომიეს შესახებ, იმ წერილის გამო, რომელიც პომიემ შანუანს გაუგზავნა და რომელშიაც ამ უკანასკნელს თხოვდა ბოლო მოეღოთ დრეიფუსის საქმის მიერ გამოწვეულს ჯარის წინააღმდეგ მოქმედებასაო.

**ბერნი.** საკავშირო საბჭომ დაადგინა გადასახლოს სახელმწიფოდგან 36 ანარქისტი, ამასთან საბჭომ შეიწყნარა შემდეგი დადგენილებანი: 1) მთავარ ბრალმდებელს მიენდოს წარუდგინოს ხოლმე საბჭოს წინადადება შვეიცარიაში მცხოვრებ იმ უცხო ქვეყნელთა გადასახლების შესახებ, რომელნიც ანარქისტთა მოძღვრების გავრცელების საქმეში მონაწილეობას იღებენ ან საშიშ ანარქისტებს ეკუთვნიან; 2) კანტონებმა უნდა დაუყოვნებლივ აცნობონ ბრალმდებელს სახელი და გვარი იმ უცხოელთა, რომელნიც პირველ მუხლში არიან დასახელებულნი და 3) კანტონებმა უნდა თვალ-ყური ადევნონ იმ ანარქისტებს, რომელნიც იმათ მიწა-წყალში სცხოვრობენ და დაუყოვნებლივ აცნობონ საკავშირო საბჭოს თუ ეს ანარქისტები საზღვარს გადავიდნენ.

**ლონდონი.** „Pall-Mall-Gazette“ სწერს: „ინგლისის ელჩმა შანხაიაში სთქვა, რომ ჩინეთის იმპერატორი მოკლულ იქმნაო. გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს ცნობა ოფიციალური არ არისო, ელჩმა მხოლოდ ხმას მოჰკრა ყურიო“.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ იორკიდგან: „ამერიკის ერთის საზოგადოების მინდობილებით, ჩინეთში მრავალი ინჟენერი მიდის იმ აზრით, რომ იქ მრეწველობას მიჰყონ ხელი. საზოგადოებას უკვე შემუშავებული აქვს რამდენიმე პროექტი, მათ შორის პროექტი ხანკოუ-კანტონ-კაულუნის რკინის გზის გაყვანის შესახებ. გარდა ამისა, საზოგადოებამ უკვე ნებართვა აიღო იმისა, რომ მან იკისროს ბელგიელებთან დადებულის ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა რკინის გზის გაყვანის შესახებ, თუ ბელგიელთა სინდიკატმა ვერ შეასრულა იგი“.

**პარიჟი.** იუსტიციის სამინისტროს კომისია, რომელსაც მიენდო იმის გარდაწყვეტა, დრეიფუსის საქმე ხელახლა განხილული იქმნას თუ არა, ორ თანასწორე ნაწილად გაიყო: სამმა წევრმა ის წარმოსთქვა, რომ პარლამენტის აზრი უნდა შევიტყოთ მაგ საქმის შესახებაო, სამი კიდევ წინააღმდეგი იყო ამისა. მთავრობამ, სცნო რა რომ აზრთა თანასწორედ განაწილება ნებას აძლევს მას თავისუფლად იმოქმედოს, მაგრამ თავისის პასუხის მგებლობით კი, გადასდო ამ საქმის გარდაწყვეტა ორშაბათამდე. დეპეშები გაუგზავნეს ვიჟესა და პეიტრალს, რომ ისინი ორშაბათს კრებისათვის დაბრუნდნენ.

**ვეი ხაი ვეი.** ინგლისის სამხედრო გემი „ცენტურიონი“ საჩქაროდ ზღვაში გავიდა და თან ბრძანებანი წაიღო. ჰფიქრობენ, რომ გემი ტაკუსაკენ გაუდგა გზას. მას სხვა სამხედრო გემებიც შეუერთდებიან ჩიფუდგან: „ვიქტორიუსი“, „ნავცისსუს“-ი „ხერმიონი“, „ფამე“, „ხარტი“ და „ალაკრიტი“. ამბობენ რომ საქმე ძალიან სერიოზულიაო.

14 სექტემბერი

**ლონდონი.** გაზეთმა „Observer“-მა გამოაქვეყნა იმ კაცის ნალაპარაკევი, რომელთანაც ესტერგაზის ლონდონში ათი დღე უცხოვრია. ამ კაცმა განაცხადა: ესტერგაზიმ მითხრა, რომ ცნობილი ბორდერო ჩემი დაწერილია პოლკოვნიკის სანდგერის თხოვნითაო. ეს ამბავი ანრიმაც უწყოდაო. თუმცა ორივენი გარდაიცვალნენ, მაგრამ ამის დამტკიცება ძნელი არ არისო. წერილი, რომელსაც ქვეშ სიტყვები „Canaille de D“. უზის, მართლაც პოლკოვნიკის შვარცკოპენის დაწერილია, მაგრამ ეს სიტყვები დრეიფუს-კი არ შეეხება, არამედ დოლფუს, რომელმაც დრეიფუსის საქმეზედ რამდენისამე წლით ადრე აცნობა გერმანიის სამხედრო აგენტს ნიცცის სიმაგრეთა გეგმები. „მანდილოსანი პირ-ბადე ჩამოფარებული“ იყო ქ-ნი დიუ-პატი-დე-კლამიო.

**ლონდონი.** ის ხმა, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკება ფაშოდას შესახებ კეთილად დაბოლოვდაო, სიმართლეს მოკლებულია.

**ქაირი,** კიჩინერი ომდურმანში დაბრუნდა. დერვიშთა გემთან შეტაკების გარდა ბრძოლა არ მომხდარა.

**პარიჟი.** დრიუმონის გაზეთი „libre parole“ იუწყება, რომ ესტერგაზიმ შანუანს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ „observer“-ში გამოქვეყნებული ამბები სიმართლეს მოკლებულიაო.

15 სექტემბერი.

**სუაკიმი.** პოლკოვნიკის წერსონის რაზმი, რომელიც კასსალაში წავიდა, ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიპყრო გედარეფი. მტერი გაიქცა.

**კონსტანტინეპოლი.** ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და რუსეთის ელჩებმა პირველი კრება მოახდინეს კრიტის საქმეების გადასაწყვეტად.

**პარიჟი.** ყველა მინისტრები თანხმა არიან ამ რეზოლიუციისა, რომ განხილვა დაწყებულ იქმნას და დრეიფუსის საქმე საკასაციო პალატას გარდაეცეს განსახილველად.

**ლონდონი.** პეკინიდგან ატყობინებენ „Dailu Mail“-ს, „უმთავრესმა ევნუხმა განაცხადა, რომ იმპერატორი საშიშოდ არის ავადაო. იმის გარდაცვალება აუცილებელიო“.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „კან იუმეი დამნაშავედ იქმნა აღიარებული, კანტონში დაპატიმრებულ იქმნა ლი-ხუნ-ჩანგის მეტოქე ტშაუგიუხუანი, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მასპინძლობა გაუწია კან-იუმეის. ტშაუგიუხუანი დათხოვნილ იქმნა ყველა თანამდებობიდგან, ეს გარემოება-კი ლი-ხუნ-ჩანგს გააძლიერებს. თანამდებობის კაცნი სიხარულით მიეგებნენ იმ ამბავს, რომ იმპერატრიცა-დედა მარივა გამგეობის საქმეს დაუბრუნდა, მაგრამ ხალხი ამას გულ-გრილად ეკიდება.

**ბუდა-პეშტი.** პალატა. ბანფიმ განაცხადა, რომ ავსტრი-უნგრეთი გულითადის თანაგრძნობით მიეგება რუსეთის წინადადებასაო. წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ სიხარულით იქმნა მიღებული. სასურველია, რომ საქმე განხორციელებულ იქმნას, მაგრამ მას ბევრი დაბრკოლება დახვდებაო.

**ლონდონი.** „Dailu Telegrapn“-ს ქაირიდგან ატყობინებენ, რომ მარშანმა უარი განაცხადა, ფაშოდიდგან არ წავალ ვიდრე საფრანგეთის მთავრობისაგან შესაფერ ბრძანებას არ მივიღებო. კიჩინერმა ინგლისისა და ეგვიპტეს დროშები აღმართა და პოლკოვნიკის ქეკიუნის უფროსობით, დასტოვა იქ მეციხოვნენი. როგორ წავა ამის შემდეგ საქმე, დამოკიდებულია სადიპლომატო მოლაპარაკებაზედ.

### წერილი რედაქციის მიმართ

23 აგვისტოს ს. ასკანაში ასკანის წიგნთსაცავის სასარგებლოდ ადგილობრივის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იყო 5 მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“. შემოვიდა სულ ბილეთების გაყიდვით 45 მ. 15 კ., დაიხარჯა აფიშისა და ბილეთების დასაბეჭდი 2 მ., პარიკმახერს 3 მ. 25 კ, დეპეშისა 60 კ., მარკებისა—3 მ., წვრილმანი ხარჯი—1 მ. 30 კ., სულ 10 მ. 15 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 35 მ., რომლიდგანაც 5 მ. გარდაეცა მეწიგნთ-საცავეს ნამსახურში და დანარჩენი 30 მ. ინახება ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ქ-ნთ ელენე ასათიანისას, მინორა კვაჭანტირაძისას, თ. გ. გუგუნავას, შალვა შარაშიძეს, აპოლონ წულაძეს, პ. კულანდაძეს და სხვებს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის და ნიკო გეგელაშვილს, რომელმაც ჩვეულებრივ უსასყიდლოდ მოგვიმზადა ბენგალის ფერადი ცეცხლი.

გამგე ს. ჭეიშვილი

## განცხადებანი


### მასწავლებელი

კოლეჟსკი ასესორი

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვი

თავისს სასწავლებელსა და პანსიონში ასწავლის და ამზადებს მსურველთ გიმნაზიასა, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა, მიწის მზომელთა სასწავლებელსა და სხვაგან შესასვლელად. ასწავლის აგრეთვე ბუჰხალტერიასაც.

სწავლის ფასი თვეში ღირს—8 მ

პანსიონში ყოფნისა—20 მან.

ბუჰღალტერიის შესწავლა—60 მ.

ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

(5—128—5)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 28 სექტემბერს ამა წლისა ქალაქის გამგეობისავე დარბაზში, 1 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის სამკურნალოს აფთიაქის იჯარით გასაცემად. ეს აფთიაქი გოლოვინის პროსპექტზეა, თამამშოვის სახლში, ეხლა იჯარითა აქვს პროვიზორს კამოცკის. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა.

(5—6.—3)

დაიბეჭდა ¢ ისყიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

(10—უ.—2)

### სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

ამ სასწავლო წლისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი, მეორეში—11, მესამეში—9 და მეოთხეში—16.

თხოვნების მიღება აგვისტოს 28-დგან დაიწყება; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობანი ნათლობისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობლები ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლებიან, ან იმისი საბუთი, რომ თავად-აზნაურთაგანნი არიან.

ხელ-მეორედ გამოსაცდელი მოსწავლენი უნდა გამოცხადნენ 29-სა და 30 აგვისტოს, ახლად მისაღებთათვის-კი ეგზამენები ვაკანსიების შევსებამდე განიგრძობა.

თუ თავად-აზნაურთა შვილებმა ვაკანსიები ვერ შეავსეს, მაშინ გლეხთა შვილებიც მიიღებიან, მხოლოდ სწავლების ქირა გარდახდებათ ქუთაისის და სენაკის სკოლათა სამზრუნველოს გარდაწყვეტილებისამებრ 6-დგან 12 მანეთამდე.

შესაძლებელია ამავე წელში 1 კლასიც დაარსდეს სამეურნეო განყოფილებითურთ: ამ ჟამად მზადდება პროგრამმა და იწერება მოხსენება განყოფილების დაარსების შესახებ.

სწავლა 5 სექტემბრიდგან დაიწყება.

სკოლის მმართველი ს. ყიფიანი

### ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—6.—15)


Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე